


№3 (7143)
31 მარტი, ხუთშაბათი.
2022 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

29 მარტს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.



სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც 2022 წლის შემოსულობები გაიზარდა 1786.6 ათასი ლარით და ბიუჯეტი განისაზღვრა–18405,5 ათასი ლარით.

სხდომაზე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 18403,6 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 21497.5 ათასი ლარი, აქედან 8161.2 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,1 %-ით (წლიური გეგმა 18403,6 ათასი ლარი– წლიური შესრულება 19336,8 ათასი ლარი).

განკარგულების პროექტით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,

დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დაამტკიცა მუნიციპალიტეტის საკრებულომ.



## 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

## მცირეოდენი მოგონება ქვეყნის პირველ პრეზიდენტზე

3 გვ.



## დიდება მის სპეტაკ სულს

18 მარტს თენგიზ ქაჯაია 59 წლის გახდებოდა...

4 გვ.



იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეგიონალური სისხლის ბანკის ორგანიზებით ხობში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გაიმართა.

აქციაში საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ხობელების მიერ გაღებული სისხლი შეინახება სისხლის ბანკში და საჭიროების შემთხვევაში ჰუმანიტარული დახმარების სახით გაიგზავნება უკრაინაში.

## არათუ დროშა, საქართველოს ცაა დახრილი!

*(ზვიად გამსახურდიას)*

საცაა სული დაუშრიტონ კოლხსა და იბერს.
საცაა ახლა აღასრულონ შენი დილემა...
აქ ქართველის ხატი უსჯულოთა ნიღბად მოირგეს
და ქართველის ჭირის სცადეს ვითომ გაადვილება.
აღარსად ისმის შემართება, მხნე შეძახილი...
და არც რა ციდან ცის ნათება მოემართება.
ჩასობილი აქვს ჩემს სამშობლოს ზურგზე მახვილი
აი, ცოტაც და ეროვნებაც მოგვენატრება.
არათუ დროშა, საქართველოს ცაა დახრილი!
გმირო, გუგუნი შენს ხალხს ახლა ძლიერ სწყურია,
სად უმწეოთა უსაშველო ჯვნესა-ძახილში
შველას მოითხოვს განწირული დიოსკურია.

ტრისტან ვალაქარია
2000 წელი, ქ. ხობი.

# დაიჯესტი

## ირაკლი ღარიბაშვილი: ინფლაცია და ფასების ზრდა გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის და საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება



პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, საწვავის ფასის ზრდასთან დაკავშირებით გუშინ გამართული საპროტესტო აქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო ორგანიზებული.

როგორც მან მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, ხელისუფლების ოპონენტები ცდილობენ, რომ მოქალაქეები საწვავის ფასების და ინფლაციის საკითხზე შეცდომაში შეიყვანონ.

„ჩვენს ქვეყანაში გამოწვევა არის ინფლაცია, როგორც ფასების ზრდა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში. ბუნებრივია, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. გამორიცხულია, რომ გამონაკლისი იყოს იმიტომ, რომ პატარა ქვეყანა ვართ, პატარა ეკონომიკით და მიერთებული ვართ მსოფლიო ბაზარს. რაც აშშ-ში, ევროპაში ხდება, რა თქმა უნდა, ჩვენზეც აისახება. პანდემიამ თავდაყირა დააყენა მთელი მსოფლიო, ახლა დაემატა ეს ტრაგედია-ომი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი მასშტაბის ომი ევროპაში არ ყოფილა. ბუნებრივია, ამას გავლენა ექნება ყველასა და ყველაფერზე, ფასებზე, ეკონომიკაზე. ამიტომ, ამას კარგად გააზრება და ჩვენი მოქალაქეებისთვის კარგად ახსნა სჭირდება“.

ირაკლი ღარიბაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მათი მმართველობის დროს არსებული წლიური ინფლაციის დონე გაახსენა.

„არ მინდა შედარება გავაკეთო წინა მთავრობასთან, მაგრამ ვინაიდან ოპონენტები ასე უპასუხისმგებლოდ საუბრობენ და ცდილობენ მოქალაქეები შეცდომაში შეიყვანონ, მინდა მათ შევახსენო, რომ მათ პერიოდში წლიური ინფლაცია მაგალითად, 2011 წლის მაისში 14.3% იყო“.

რაც შეხება გაზის ფასებს, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ევროპაში გაზის ფასი მკვეთრად გაზრდილია.

„მთელ ევროპაში ყველაზე იაფი ღირს საქართველოში გაზი, აზერბაიჯანის შემდეგ. ამიტომ, ყველას გთხოვთ, ასეთ კრიზისულ ვითარებაში მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ და მოქალაქეებს შეცდომაში ნუ შევიყვანთ “.

## „საქართველო არ არის ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა და სრულად დამოკიდებულია იმპორტზე, ეს აისახა საწვავის ღირებულებაზე“



**ლაშა ხუციშვილი–** საქართველოს ფინანსთა მინისტრი

„უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საწვავის ფასი ბუნებრივია, დამოკიდებულია საერთაშორისო ბირჟებზე ვაჭრობიდან გამომდინარე არსებულ ფასზე, დღესდღეობით, სახეზე გვაქვს სიტუაცია, როცა საწვავის ფასი განსაკუთრებით, ბოლო 2 კვირის განმავლობაში დაახლოებით, 15-20%-ით არის გაზრდილი. ბუნებრივია, საქართველო არ არის ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა და სრულად დამოკიდებულია იმპორტზე, ამ მიმართულებით, ამან ასახვა ჰპოვა საწვავის ღირებულებაზე. მეორე საკითხია, თუ რა შეიძლება იყოს გრძელვადიანი პასუხი საგადასახადო თუ სხვა პოლიტიკის მიმართულებით, საწვავის ფასებთან მიმართებაში და ამ სიტუაციაში საკმაოდ რთული მდგომარეობაა იქიდან გამომდინარე, თუ გადავხედავთ ბოლო 2 კვირის მონაცემებს, დაახლოებით, 15-20 დოლარის ფასებში მერყეობს ყოველდღიურად ვაჭრობის შედეგები, რაც დღესდღეობით არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულწილად, გრძელვადიანი სტრატეგია იქნას ჩამოყალიბებული.

ასევე, მინდა მოსახლეობას განვუმარტო, თუ რა შინაარსი აქვს იმ მოთხოვნებს, რომელიც დღეს საწვავის ფასთან დაკავშირებით, კონკრეტულად აქციზის და დღგ-ს გაუქმებასთან მიმართებაშია. ეს ჯამურად, ქვეყნის შემოსავლების ნაწილში შეადგენს 1,3 მილიარდ ლარს, ეს არის ჩვენი საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით, 8-ან 9%-მდე, ბუნებრივია, ამხელა ტიპის საგადასახადო შემოსავლის დაკლებაზე, როცა მიმდინარე წელი დაგეგმილია სოციალური ვალდებულებებით, რაც ქვეყანას აქვს აღებული ჩვენი მოსახლეობის წინაშე, შეუძლებელია ამ ეტაპზე ამაზე იყოს საუბარი. ბუნებრივია, ასეთი ტიპის შემოსავლების დაკლება მიმდინარე წელს, როცა საკმაოდ ბევრია გამოწვევა ქვეყნისთვის, ეს პირველ რიგში, იმ საომარი მდგომარეობიდან მომდინარეობს, რომელიც უკრაინაში ხორციელდება რუსეთის შეჭრის შედეგად, გარკვეულწილად ყველას მოგვიწევს არამხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელიც უშუალოდ ჩართულია ამ საომარ მოქმედებებში, არამედ იმ ქვეყნებს, რომელიც რეგიონში არის უშუალოდ და ეკონომიკურ საქმიანობას, სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებდა აქტიურად უკრაინასთან რუსეთთან, ბელარუსთან–ყველა ქვეყანას მოუწევს საკმაოდ მაღალი ფასის გადახდა ომთან მიმართებაში.

ბუნებრივია, ინფლაციაც არის ერთ-ერთი ის ფასი, რომლის გადახდაც თითოეულ ადამიანს მოუწევს და არამხოლოდ საქართველოში. ინფლაციის დონე 30-40 წლის მაქსიმუმზეა ევროპის და ევროკავშირის ქვეყნებში, ამერიკაში და ჩვენს სამეზობლო ქვეყნებში. ბუნებრივია, საქართველო ვერანაირად ვერ იქნება ამ პროცესისგან იზოლირებული, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ღია ეკონომიკაა და ვაჭრობას ახორციელებს ამ ქვეყნებთან. ეს ასახვას პოვებს საქართველოში ინფლაციის დონეზე. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, დავეხმაროთ მაქსიმალურად იმ მოწყვლად ფენას, რომელსაც ყველაზე მეტად ჭირდება ასეთი ტიპის დახმარება, იმ შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყანას გააჩნია. კიდევ ერთხელ ვამბობ, შეუძლებელია ამ ოდენობის საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა ისე, რომ ჩვენ გავაგრძელოთ და შევასრულოთ ის სოციალური ვალდებულებები, რაც ქვეყანას მიმდინარე წელს აქვს აღებული.

მას შემდეგ, რაც გარკვეულ სტაბილიზაციას მიაღწევს საერთაშორისო ბაზრებზე საწვავთან მიმართებაში საერთაშორისო ბაზარი, ამ მიმართულებით ჩვენ შესაბამისი გადაწყვეტილებები გვექნება“.

## ინტენსიური მუშაობა მიდის ბევრ საერთაშორისო კომპანიასთან, რომელიც ბაზირებული იყო უკრაინის და რუსეთის ტერიტორიაზე, რომ თავიანთი ოპერაციები საქართველოში გადმოიტანონ



**ლევან დავითაშვილი** –ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი:

როგორც დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მუშაობა მიმდინარეობს იმისთვის, რომ საერთაშორისო კომპანიებმა საქართველო ჰაბად განიხილონ.

„რაც შეეხება ომიდან მომდინარე საფრთხეების მინიმიზაციას, აქ ვერ იქნება რაღაც სისტემური პასუხები, რადგან ეს არ არის ორდინალური სიტუაცია და არ არის მარტივად პროგნოზირებადი სიტუაცია. ეს არის სიტუაცია, რომელიც ძალიან დინამიკურია. მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება და კონკრეტულ გამოწვევებზე გვექნება რეაქციები. ამიტომ მთავრობა და მთავრობის ეკონომიკური გუნდი საგანგებო რეჟიმში რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მაგალითად, ბევრ საერთაშორისო კომპანიასთან, რომელიც ოპერირებდა უკრაინის ან რუსეთის ტერიტორიაზე და ბაზირებული იყო ამ ქვეყნებში, საუბარია ბრიტანულ, გერმანულ და სხვა კომპანიებზე, ინტენსიური მუშაობა მიდის, რომ მათ თავიანთი ოპერაციები საქართველოში გადმოიტანონ და საქართველომ ამით მიიღოს ამა თუ იმ სექტორის განვითარების შესაძლებლობა, ასევე გაჩნდეს დასაქმების ახალი შესაძლებლობები, მოხდეს კომპეტენციების ტრანსფერი, კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. საბოლოოდ ეს ეკონომიკაში უნდა იყოს თავისი წვლილის შემტანი.

ჩვენ ძალიან ორგანიზებულად ვმუშაობთ უცხოელ ბიზნეს თუ სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან. ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები გაერთიანებულები არიან და ორგანიზებულად ვაკეთებთ ამას და ალბათ, უკეთესად გავაკეთებთ, ვიდრე სხვა ქვეყნები იმისთვის, რომ ამ საერთაშორისო კომპანიებმა საქართველო როგორც ჰაბი, ისე განიხილონ თავიანთი ოპერაციებისთვის. ეს უფრო წარმატებით მიმდინარეობს მიმართულებით სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული იმისთვის, რომ ამ სიტუაციაში ქვეყანამ მაქსიმალურად მოახდინოს რესურსების ოპტიმიზაცია“.

ამასთან, მინისტრმა ისაუბრა საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ პანდემიიდან გამომდინარე მთავრობას კერძო სექტორისთვის დაწესებული ჰქონდა საგადასახადო შეღავათები, თუმცა ამ შეღავათების გაგრძელება მიმდინარე წელსაც იგეგმება.

„საგადასახადო ნაწილში ჩვენ გვქონდა გარკვეული შეღავათები კერძო სექტორთან პანდემიიდან გამომდინარე. გარკვეულ სექტორებს, რომელსაც პანდემია შეეხო, ვალდებულებები გადავადებული ჰქონდა. ჩვენ ვმსჯელობთ, რომ გარკვეული საგადასახადო შეღავათები მიმდინარე წელსაც გავითვალისწინოთ გადავადებული ვალდებულებების ნაწილში“.

## 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა

# მცირეოდენი მოგონება ქვეყნის პირველ პრეზიდენტზე

*შეუძლებელია ისაუბრო ისეთ დიდ ჰუმანისტზე, მეცნიერზე, მამულიშვილზე და სახელმწიფო მოღვაწეზე, როგორიც გახლდათ ბატონი ზვიად გამსახურდია, უბრალოდ ზვიადი. ქვემოთაც სახელით მოვიხსენიებ, რადგან ქართველთათვის დიდი ილია ჭავჭავაძე არის უბრალოდ ილია!*

*სახელები ქმნიან ეპოქას და ეპოქა ქმნის სახელებს, რომელთაც ზედსართავი სახელები, სტატუსები ანუ განსაზღვრებები არ სჭირდებათ ერისა და მამულისთვის.*

*მოკრძალებულად გავიხსენებ რამდენიმე ეპიზოდს მეოცე საუკუნის მიწურულის ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან, რომლის ერთ-ერთი იდეური თანამონაწილე დიდი კრძალვითა და რიდით მეც ვიყავი.*

*ზვიადსა და მერაბს გავეცანი (მე გავეცანი მათ და არა ეს ბუმბერაზები უნდა გამცნობოდნენ მე!) მერაბ კოსტავას სახლის ეზოში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ერთიანი თავყრილობისას.*

*მერაბ კოსტავას „ტრაგიკული“ დაღუპვის შემდეგ, „კოლხური კოშკის“ ეზო სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობის თავყრილობის ადგილი იყო. აქ მიმდინარეობდა მსჯელობა და კამათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებზე, რა თქმა უნდა, ზვიადის თავკაცობითა და სულისკვეთებით. ჩემდა საბედნიეროდ, მისი ჰუმანური ხასიათის წყალობით, მქონდა ბედნიერება მასთან საქმიანი ურთიერთობისა.*

*ვფიქრობ, დღეს უპრიანი იქნება რამდენიმე შტრიხი გავიხსენო ამ შეხვედრებიდან.*

* * *

1989 წელია. 9 აპრილი უკვე მოხდა! ზვიადი ჩამოდის სენაკში. სენაკის პარკი ხალხს ვერ იტევს. ზვიადი ვრცელი სიტყვით მიმართავს მათ. დასასრულს ხალხი წერილობით უგზავნის ზვიადს შეკითხვებს. ზვიადი ხმამაღლა კითხულობს თითოეულ შეკითხვას და სახელდახელოდ პასუხობს.

ერთი შეკითხვა ასეთი იყო– სოჭს (სოჩას) როდის დავიბრუნებთ?

ზვიადს გაეღიმა და ხალხს მიმართა:





1989 წელი, ქ. ფოთი. ნესტორ ბარამიძის სახლში ეროვნული მოძრაობის სამუშაო შეხვედრაზე მარჯვნივ როსტევან გვარამია.

„მეგობრებო, ამჟამად ჩვენ რაც შემოგვრჩა, იმის შენარჩუნებაზე უნდა ვიფიქროთ. თუ უგუნურ პოლიტიკას გავატარებთ, შესაძლოა, ესეც დავკარგოთო.“

ვფიქრობ, ურაპატრიოტიზმით ტვინდახუნძლული ადამიანი ამას არ იტყოდა.

* * *

ზვიადისა და მერაბის თანხმობითა და დავალებით, რამდენიმეჯერ მომიწია ბალტიისპირეთში ჩასვლა ცნობილ დისიდენტებთან, ვიქტორას პიატკუსთან და ანტანას ტერლიასკასთან. ერთ-ერთი ჩასვლის შემდეგ მათ ზვიადთან გამომატანეს ორ ტომად გამოცემული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის სრული ტექსტი, კომენტარებითა და ანალიტიკური სტატიებით.

თბილისში ჩამოფრენისთანავე, მას დილით კოლხურ კოშკში მივართვი და სათანადო ანგარიშიც ჩავაბარე. „მათი მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნეს. პაქტის შინაარსი ჩემთვის ცნობილია. სრულ ტექსტსაც და ანალიტიკასაც გავეცნობი, მაგრამ დაიმახსოვრე, ამ დოკუმენტს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია!“

ვფიქრობ, ზედმიწევნით პრაგმანტული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჭვრეტაა!!!

* * *

1980-იანი წლების მიწურულს, თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა ე.წ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ ბუმმა. ასეთ ზონაში მოიაზრებოდა ქ. ფოთის ჩართვაც, კომპეტენტური ეკონომისტებისა და ფინანსისტების მონაწილეობით და შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი არგუმენტაციებით დასაბუთებული დოკუმენტი, რომელიც იმ პერიოდში მიზანშეუწონლად მიიჩნევდა მსგავსი ეკონომიურ-სამართლებრივი სუბიექტის არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე, მივუტანეთ ზვიადს „კოლხური კოშკში“.

წაიკითხა, დაგვეთანხმა და გვითხრა–„საბჭოთა კავშირი მალე ასეთი სახით ველარ იარსებებს, ასეთ პროექტებზე დამოუკიდებელმა საქართველომ არსებითად განსხვავებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ პირობებში შეიძლება იფიქროსო“.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში წავიდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ნიკა აგიაშვილი ამ გაზეთის რედაქტორია, მე ის ერისკაცად მიმაჩნია და ამ ტექსტს აუცილებლად გამოაქვეყნებსო–გვითხრა.

ბატონმა ნიკამ მართლაც უცვლელად გამოაქვეყნა ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი და ამით თემაც დაიხურა.

* * *

ქ. ფოთი დამეგობრებული იყო აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქალაქ ლაგრანჟთან. მე მაშინ გახლდით ქ. ფოთის პრეფექტის პირველი მოადგილე. ამ ქალაქის დელეგაცია მოწვეული გვყავდა წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატზე ქ. ფოთში 1991 წლის აგვისტოს თვეში. ამავე წლის სექტემბერში აშშ-ის ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატში ტარდებოდა დამეგობრებული ქალაქების საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მოწვეული ვიყავით ჩვენც.



წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესია ძველ ხიბულაში

დელეგაციისთვის მე უნდა მეხელმძღვანელა. ამ პერიოდში საქართველოში გამოიკვეთა სახელმწიფო გადატრიალების ნიშნები.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისსავე კაბინეტში მოვახსენე მიწვევის შესახებ, თანაც დავსძინე, რომ არსებულ ვითარებაში თავს ვიკავებდით გამგზავრებისგან. მათ კი ტელეფაქსით გავუგზავნიდით ბოდიშისა და მადლიერების ოფიციალურ წერილს.

– არავითარ შემთხვევაში, გენაცვალე, უნდა წახვიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროს პრესა აჭრელდება იმით, რომ დიქტატორმა გამსახურდიამ ხალხი არ გამოუშვაო“.

წავედით, გაფორმდა რიგი ხელშეკრულებებისა, რომლებიც დღესაც ძალაშია.

* * *

საქართველოს უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ცნობილმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მოითხოვა, რომ საქართველოს ომი გამოეცხადებინა ჯერ კიდევ სამართლებრივად არსებული საბჭოთა კავშირისთვის, ე.ი. რუსეთისთვის. ამის პასუხად გახსოვთ ალბათ, ბატონი პრეზიდენტის-ზვიად გამსახურდიას ცნობილი ფრაზა:

„აი, ხომ ხედავთ, მეგობრებო, ზოგიერთი ტვინნაღრძობი „პატრიოტი“ პოლიტიკოსი ჩემგან რუსეთისთვის ომის გამოცხადებას მოითხოვსო“.

გავავლოთ პარალელი დღეს არსებულ ვითარებასთან ქვეყანაში, ქვეყნის გარეთ და ჭკუათმყოფელი მაინც უნდა მიხვდეს ამ ფრაზის მარადიულ აქტუალობას.

„ერმა თუ არ მოინდომა, მას მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო“–ბრძანა კონსტანტინე ბატონმა.

მოინდომა ერმა და საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღმდგენი, „საქართველოს სულიერი მისიის“ ავტორი, სამშობლოს ერთიანობასა და თვითმყოფადობას ზვარაკადშეწირული ზვიად გამსახურდია, მთაწმინდის სავანეს აასვენა!!!

**როსტევან გვარამია**

***P.S.*** *პანდემიამდე ზვიადის გარდაცვალების დღეს, 31 მარტს, მთაწმინდაზე ვიკრიბებოდით. წელს, ალბათ, შევიკრიბებით ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში, ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმში, სადაც ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა სიცოცხლის ბოლო წუთები გაატარა. (სახლი ნუგზარ (ხვიჩა) შონიას ინიციატივითა და თაოსნობით იქნა შესყიდული).*

*სახლს ბატონ ბიძინა ივანიშვილის და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით, გაუკეთდა სრული რეაბილიტაცია, აშენდა ეკლესია, საბავშვო ბაღი, მისივე სახელობის პარკი, მუნიციპალიტეტის ცენტრთან დამაკავშირებელი ხიდი მდინარე ჭანისწყალზე, დამთავრდა სოფლის გაზიფიცირება, მიმდინარეობს წყალმომარაგების სამუშაოები, გზებზე ბეტონის საფარის დაგება, ერთი სიტყვით, მთლიანად შეიცვალა სოფლის ინფრასტრუქტურა...*

*საზოგადოება კიდევ ერთხელ და მრავალგზის გამოხატავს მოწიწებას ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მიმართ გამოხატული მადლიერების გამო.*

*სამარადისო დიდება საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას ზვარაკად შეწირული პრეზიდენტის უკვდავ სულს.*

# დიდება მის სპეტაკ სულს



ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელთანაც ხანგრძლივი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გაკავშირებდა, მაგრამ ეს სამწუხარო რეალობაა.

მიუხედავად ასაკით დიდი სხვაობისა, თენგიზ ქაჯაია იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერების–ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას უახლოესი თანამებრძოლი.

საქართველოში პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, პირველი პრეფექტი იყო ბატონი თენგიზი. მან ხობის რაიონში, მისი ხანმოკლე მუშაობის პერიოდში, უდიდესი კვალი დატოვა. ის იყო უაღრესად კომუნიკაბელური, საოცრად ლაღი. და, რაც მთავარია, თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ყველა თათბირი მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში, წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა სწრაფად და ოპერატიულად. ინტენსიურად ატარებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან, შეიძლება ითქვას, ცხოვრობდა მათი ცხოვრებით. იყო საოცარი ორატორი. მინდა გავიხსენო, ასეთი შემთხვევა:

იმხანად საქართ-ველოს წამყვანი კლუბები მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში.

საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდგომ, 1991 წლიდან დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. უმაღლეს ლიგაში მონაწილეობდა ხობის „კოლხეთი“. ეროვნული ჩემპიონატის გახსნის პირველი თამაშის წინ, მისი გამოსვლა იყო ძალიან ემოციური და ვინც ესწრებოდა იმ თამაშს, ალბათ, არავის დაავიწყდება მისი სიტყვები: „მოვა დრო და ქართული კლუბები წარმატებით იასპარეზებენ ევროპის საკლუბო ტურნირებზე, ხოლო საქართველოს ეროვნული ნაკრები კი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში“.

არადა იმ დროს საქართველო არ იყო არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ტაში და ოვაციები. ეს საოცრად ამაღელვებელი იყო, მისი ქაღალდზე გადმოტანა ძალიან ძნელია.

რაჭაში მომხდარი მიწისძვრიდან ძალიან მოკლე დროში, მისი თაოსნობით შეიკრიბა რაიონში მოქმედი ყველა სახელმწიფო და კერძო საწარმოს ხელმძღვანელობა. ამ შეკრებისას მისი გამოსვლა დიდხანს არ გაგრძელებულა, მისი ხმის ტონი სულ სხვა იყო, ეს სულ სხვა თენგიზი იყო. სევდიანი და აცრემლებული თვალებით, მაშინვე შეიქმნა სპეციალური ფონდი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და რამდენიმე დღეში საკმაოდ სოლიდური თანხა იქნა მობილიზებული.

იგი ძალიან განიცდიდა საქართველოში 1991 წლის მეორე ნახევრიდან მიმდინარე მოვლენებს...

ქალაქ თბილისში დაიწყო მიტინ-




გები, რომელსაც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერები მართავდნენ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ხელისუფლების მხარდასაჭერ ერთ-ერთი მიტინგის მიმდინარეობისას გაჟღერდა, რომ ქ. თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები თავს იკავებდნენ და არ უერთდებოდნენ მომიტინგეებს.

ბატონი თენგიზი სასწრაფოდ გაემგზავრა თბილისში. დაახლოებით დღის 12 საათზე, მიტინგზე გაცხადდა, რომ დიდი რაოდენობის სტუდენტი ახალგაზრდობა უერთდებოდა მომიტინგეებს და საოცრებავ, მართლაც 10-15 წუთში გამოჩნდა ახალგაზრდობის რამდენიმე ათასკაციანი კოლონა და მათ წინ ბატონი თენგიზ ქაჯაია მოუძღოდა.

მისი დიდი ავტორიტეტის წყალობით, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობები ყოველთვის ნორმალურ ვითარებაში ხორციელდებოდა. შეიძლება ითქვას, იმაზე მეტს ვაღწევდით, ვიდრე ჩვეულებრივად იყო შესაძლებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ის ძალიან განიცდიდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებმაც ძმათამკვლელ ომამდე მიგვიყვანა და რომელსაც თავად



შეეწირა.

ძალიან კარგად მახსოვს მასთან ბოლო შეხვედრა. 20 დეკემბერს მისი დავალებით მივლინებით წავედით ქ. თბილისში, მაშინდელი საგადასახადო ინსპექციის უფროსი რამაზ კვარაცხელია, შემნახველი ბანკის მმართველი ჰამლეტ ხარებავა და მე, მაშინ აგროსამრეწველო ბანკის მმართველი.

ჩვენ ხელმძღვანელობასთან უნდა მოგვეგვარებინა სხვადასხვა ფინანსური საკითხები. მოგეხსენებათ, მაშინ ბრუნვაში იყო საბჭოთა მანეთი და ფულის ნიშნებით მომარაგება ხდებოდა რუსეთის ფედერაციიდან. საკითხის მოსაგვარებლად საუწყებო ხელმძღვანელებთან ერთად შევხვდით ჩვენი რაიონის მკვიდრს, აწგანსვენებულ ბატონ ტარიელ გელანტიას, რომელიც იმხანად პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ და ფინანსთა მინისტრს ბატონ გურამ აბსანძეს.

ჩვენს მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი მათი მხარდაჭერით დადებითად გადაწყდა. ბატონი თენგიზი ტელეფონით ჩავაყენეთ საქმის კურსში. ის შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა, ამასთან იკითხა თუ რა მდგომარეობა იყო თბილისში. ეს იყო 21 დეკემბერი. ჩვენ იმავე საღამოს დავბრუნდით ქ. ხობში.

პრეფექტურის შენობაში ბატონი თენგიზი არ დაგვხვდა. გვითხრეს, რომ ის პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა შეხვედრაზე. ჩვენ ფეხით წავედით პოლიციის შენობის მიმართულებით და გზაში შევხვდით ერთმანეთს. ჩქარი ნაბიჯებით მოდიოდა, მასთან შეხვედრა იყო ხანმოკლე. ის უპირველესად დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩვენს პასუხზე, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ავტობუსებით იყო გადაკეტილი, მაგრამ იყო სიმშვიდე, მან შემოგვხედა და გვითხრა: ეს მოჩვენებითი სიმშვიდეა, ეს ასე არ არის. მე ახლა მივდივარ ქ. თბილისში თქვენ გააგრძელეთ თქვენი საქმიანობა, შეგეხმიანებით.

მომეჩვენა, რომ თვალები აცრემლებოდა. სახეზე, როგორც იტყვიან, ღიმილის ნატამალიც აღარ ეტყობოდა. ჩვენს წინაშე სულ სხვა თენგიზ ქაჯაია იდგა... ვიგრძენი, რომ მან ბევრად მეტი იცოდა, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ეს არ გვაგრძნობინა, ხელი ჩამოგვართვა, დაგვემშვიდობა და კიდევ ერთხელ გვითხრა, შეგეხიანებითო.

მეორე დილით, 22 დეკემბერს თბილისში პირველი ტყვია გავარდა... 30 დეკემბერი მისი გარდაცვალების თარიღია, 31 დეკემბერს ბატონი თენგიზი ხობში, მის მშობლიურ საჯიჯაოში ჩამოასვენეს.

თენგიზ ქაჯაიას მსგავსი ადამიანები, თანამედროვე გმირები ხშირად არ იბადებიან. სამშობლოსთვის ასეთი თავგანწირვა, ასეთი სიკვდილი, ეროვნული იდეების ერთგულება მხოლოდ მამაცთა ხვედრია.

18 მარტს თენგიზ ქაჯაია 59 წლის გახდებოდა...

***ბორის ჯიქია.***

სოფელი



# ჩვენი მოკრძალებული წვლილიც იქნება

იმ უბედურების ფონზე, რაც ჩვენს მოძმე უკრაინაში ტრიალებს, თითქოს ყველაფერი გაუფასურდა და შავი სუდარით გადაიფარა, მაგრამ სიცოცხლეს ვერ შეაჩერებ, ამასთან იმ საქმეებს, რომელიც აუცილებელია ჩვენი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის!

ჩვენი აბსოლუტური მხარდაჭერა უკრაინელებს და უნდა უწყოდნენ, იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლმა გმირებმა, რომ ქართველი ხალხი, საქართველოს ხელისუფლება და ყველა კეთილი ნების მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, მათ გულშემატკივრობს და სოლიდარობას უცხადებს.

ამის დასტური გახლდათ, თუნდაც ის, რომ საქართველოს მთავრობისა და პრემიერ მინისტრის ინიციატივით განხორციელებულ ჰუმანიტარული დახმარების (ტვირთის) გაგზავნას მეგობარ უკრაინაში, ჩვენი მუნიციპალიტეტი აქტიურად შეუერთდა. როგორც ყველა რეგიონში, ჩვენმა რეგიონმაც თავისი წვლილი შეიტანა უბედურებაში მყოფი უკრაინელებისთვის დახმარების ხელის გაწვდენაში.

ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელმა, მერის წარმომადგენლების მეწინავეობით უკრაინაში ამანათები გავაგზავნეთ. ეს გახლდათ არა მხოლოდ მატერიალური დახმარება, არამედ იმ დიდი სიყვარულისა და მხარდაჭერის გამოხატვა, რომელსაც თითოეული ჩვენი მოქალაქე გრძნობს თავისუფლებისთვის მებრძოლი, თავდადებული უკრაინელების მიმართ!

ეს ჰუმანიტარული აქცია არ გახლდათ ერთჯერადი. მჯერა, კიდევ არაერთხელ და არაერთი ადამიანი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ევროპული არჩევანი და ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირება, გამოხატავს სურვილს დახმარებისას. უკრაინა ცივილიზებული სამყაროს სახელითაც ებრძვის იმპერიულ უბედურებას.



პროგრამით გათვალისწინებული პროექტი, რითაც საშუალება ეძლევათ ჩვენს მოქალაქეებს, საკუთარი სურვილისამებრ განკარგონ მთავრობისგან გამოყოფილი თანხა, წელსაც განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა.

სოფელ პირველ და მეორე გურიფულში, გასულ წლებში, გაცხადებული სოფლის პროგრამით არაერთი საშური პროექტი განხორციელდა, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია.

სანიაღვრე არხების ამოწმენდა-ამოსუფთავება. გარე განათების აღდგენა და გამართვა, ფეხბურთის მინი სტადიონების აშენება- გაკეთება, ხიდბოგირების მოწყობა, სასაფლაოს ტერიტორიაზე ნაპირდამცავი სამაგრების გაკეთება და ა.შ.

წლევანდელი თანხა, ხმათა უმრავლესობით შემდეგნაირად გადანაწილდა:

სოფელ პირველ გურიფულში მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით არსებული თანხა მიმართული იქნება სოფლის ცენტრში მდებარე საბავშვო ბაღის შემოსაღობად და კეთილმოსაწყობად, ხოლო მეორე გურიფულში, ხმათა უმრავლესობით მხარი დაეჭირა გარე განათების პროექტის დასრულებას.

ჩვენი სოფლის სახელით, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ხელისუფლებას, არსებული პროექტისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მოქალაქეებს აკეთონ ის, რაც მათ პრიორიტეტულად წარმოუდგენიათ და მიაჩნიათ!

დიდი მადლობა ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, პროექტის განსაზღვრულ ვადებსა და შეფერხების გარეშე ჩატარებისთვის.

მადლიერებას გამოვხატავთ ჩვენი გაზეთის „ხობის მოამბეს“ რედაქციის მიმართ, რომელიც მუდმივად დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენს სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელების გაშუქებას და საზოგადოების მასიურად ინფორმირებას!

და ბოლოს, ღმერთო, დაუმკვიდრე მშვიდობა და სიმშვიდე უკრაინას და მთელ მსოფლიოს. ჩვენი საუკუნე არ უნდა იყოს სიკვდილისა და შიშის საუკუნე, ის უნდა შევიდეს სიყვარულის, მეგობრობის, მშვიდობისა და აღმშენებლობის ათასწლეულად ისტორიაში და თითოეულმა ჩვენთაგანმა ჩვენი მოკრძალებული წვლილი უნდა შევიტანოთ ამ საშვილიშვილო და მამულიშვილურ საქმეში.

***ნანა გვასალია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში.***

# ქარიატაში სამუშაოები გრძელდება

*წარსულიდან მოყოლებული ქარიატა ყოველთვის გამორჩეული სოფელი გახლდათ, რადგანაც იქ, შრომისმოყვარე და გამოცდილი ადამიანები ცხოვრობდნენ. ასეა ამჯერადაც, აქ ყოველწლიურად ზრუნავენ მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.*

*თუ რა გაკეთდა წინა წელს და რა უნდა გაკეთდეს მომავალში, გვესაუბრება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონი **ირაკლი ბერაია**.*



***ბატონო ირაკლი, მოგესალმებით. დიდი ხანია ,,ხობის მოამბე“ არ შეგხმიანებიათ. იმ პროექტებთან რაც გასულ წელს გქონდათ ჩაფიქრებული, რა გაკეთდა და რა ვერა?***

–მოგესალმებით, სასიამოვნოა თქვენთან ურთიერთობა. პირველ რიგში მინდა წარმატებები და ჯანმრთელობა გისურვოთ თქვენ და გაზეთ „ხობის მოამბეს“ მთელ სარედაქციო კოლეგიას.

გასულ წლებში უმნიშვნელოვანესი პროექტები განხორციელდა ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში:

გავიყვანეთ წყალმომარაგების ახალი სისტემა. გაღმა ქარიატაში საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია მოხდა.

დაიგო 8 კილომეტრზე ასფალტის საფარი.

გამოღმა ქარიატაში 4,7 კილომეტრზე ბეტონის გზა გაკეთდა, ორივე სოფელში მოეწყო გარე განათების სისტემა, შემოიღობა სასაფლაოები.

მდინარე ხობისწყლის ორ მონაკვეთზე განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. მოიხრეშა და მოწესრიგდა საყანე ფართობებთან მისასვლელი გზები.

ფონდი „ქართუს“ მიერ სრულად შეიცვალა სკოლის სახურავი.

გამოღმა ქარიატაში განხორციელდა სამელიორაციო სამუშაოები, რის შედეგად 80 ჰექტარზე მეტი ფართობის დაშრობა მოხდა.

***ამჟამად რა გამოწვევების წინაშე დგეხართ? რა უნდა გაკეთდეს სოფელში 2022 წელს?***

–ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდით. მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება გადავწყვიტეთ. კერძოდ, გაღმა და გამოღმა ქარიატის დამაკავშირებელი ახალი სამანქანო ხიდის მშენებლობა. პროექტი შექმნილია. ველოდებით ტენდერის გამოცხადებას.

შ.პ.ს. საქართველოს მელიორაცია გვპირდება წელსვე გაღმა ქარიატაში სამელიორაციო არხების რეაბილიტაციის პროექტირებას და განხორციელებას, რის შედეგადაც 200 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი ფართობის დაშრობა მოხდება. ეს ყველაფერი სოფლისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

***კოვიდ-19 პანდემიაზე რას იტყვით. როგორ გადაიტანა ყოველივე თქვენმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა?***

–მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიამ, რათქმაუნდა, ჩვენს სოფელზეც მოახდინა გავლენა. საბედნიეროდ, ამ დაავადებით გარდაცვალების შემთხვევები სოფელში არ დადასტურებულა, თუმცა მოსახლეობის უმეტესობამ მოიხადა ეს ვირუსი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აცრილია, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთავრობის გადაწყვეტილებამ აცრილთა წახალისების შესახებ. ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები პერიოდულად იმართებოდა და იმართება. მსურველებისთვის ვაქცინაცია ხელმისაწვდომია როგორც ხობში, ასევე სოფლის ამბულატორიაში.

დღეისდღეობით დაავადების გავრცელება როგორც ვატყობთ, შენელდა. ბოლო პერიოდში დაფიქსირდა ე.წ ახალი შტამი „ომიკრონი“. იმედი მაქვს მალე დასრულდება პანდემია მთელს მსოფლიოში და ყველაფერი კარგად იქნება.

***უკრაინელთა ტკივილიან დღეებს ყველა ვიზიარებთ. თქვენ და თქვენმა სოფელმა თანაგრძნობა როგორ გამოხატეთ?***

–რაც შეეხება უკრაინის მოვლენებს, ჩვენი სოფლის მოსახლეობაში თანაგრძნობა დიდია მეგობარი უკრაინელი ხალხის მიმართ. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 21 მარტს ორგანიზებულ აქციაში „გაიღე სისხლი უკრაინისთვის“ მივიღეთ მონაწილეობა.

შეძლებისდაგვარად წვლილი შევიტანეთ ჰუმანიტარული დახმარების აქციაშიც, რომელიც გაიგზავნა მეგობარ სახელმწიფოში. იმედია, ღმერთი ინებებს, რომ მალე მშვიდობამ და თავისუფლებამ დაისადგუროს უკრაინაში.

***,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაფინანსებულ პროექტებზეც გვესაუბრეთ?***

–,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით, გაღმა და გამოღმა ქარიატაში დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები ჩატარდა. მოსახლეობამ პრიორიტეტად აირჩია გარე განათების სისტემის მოწყობა, არსებული გარე განათების სისტემის გაგრძელება, ასე, რომ 2022 წელს ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში უფრო მეტი უბნის ქუჩები განათდება.

**თითოეულ ქარიატელს გისურვებთ მომავალ წარმატებებს, ჯანმრთელ და ბედნიერ ყოფას.**

***ნანი კილასონია***

# „აქაა მათი მთაწმინდა...“

დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ ჩვენი მუნიციპალიტეტის არც თუ შორეულ ისტორიას, მონუმენტური ფიგურები გაბრწყინდებიან და უფლებას არ მოგვცემენ რეალურად არ შევაფასოთ მათი ღვაწლი და დიდკაცობა.

ისტორიის ფოლიანტებში ქექვა არ არის საჭირო. ყველამ იცის, ყველას ახსოვს ბატონები ალიოშა წურწუმია, დავით ჯანჯღავა, ვალტერ ბერაია, ნოდარ შონია, ვალიკო კილასონია, ნუგზარ ნადარაია, თემურ სალაყაია, ვახტანგ სერგია, ხუტა ბერაია, გენო ტორჩინავა, დიანა სალაყაია, შალვა




კემულარია, ჟორჟი გერგაია, კარლინგ ჯობავა, ველოდი შონია, სერაპიონ ცხადაია, ვახტანგ დოლბაია, ნაირა ბუკია, გოგი ბუკია, გურამ ბერაია, ნოდარ კარტოზია, გრიშა სესქურია, კირილე ლაგვილავა, შალვა ხარებავა, შალვა (ჯუმკა) ბერაია, გორიკო ბუკია, კარლო კორტავა და სხვა... რომელთა ჩამოთვლა შორის წაგვიყვანს. დიდება მათ ხსოვნას!

გაიხსენებთ მათ და სწორი შემფასებლებიც თვითონ იქნებით. თუ როგორ იღწვოდნენ ისინი ხალხის საკეთილდღეოდ, როგორ აშენებდნენ და ამშვენებდნენ რაიონს, სოფლებს.

ასევე მათი დიდკაცობის მოწმეებად გვევლინებოდნენ მაღალი ოსტატობით ნაშენები ადმინისტრაციული შენობები, კულტურის სახლი, მუზეუმები, დიდების მემორიალი, ამფითეატრები, სკოლები, ბაღები, საყოფაცხოვრებო თუ კომუნალური შენობები და ბევრი და ბევრი რამ. ეს ადამიანები იმ კოჰორტის ნაწილია, ვისაც სულით, გულით უყვარდათ ხობი და ხობელები. მათ მომდურავს ვერავის ნახავდი. მადლიერსა და თბილად მომგონებელს უთვალავს.

მიდიან ამქვეყნიდან ამგვარი ადამიანები და თან მიაქვთ ეპოქა მისეული. თუ ეს არ გახსოვს, მაშინ ვერასდროს ვერ იქნები თავკაცთა ღვაწლის სწორი შემფასებელი (თუ სადმე დღეს რამე დანგრეულია, ნუ დავაბრალებთ მათ).

ადამიანის ღვაწლის წარმოსაჩენად პირადი ნაცნობობა სრულებითაც არაა პირველწყარო. ასე რომ იყოს, ისტორიის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ პიროვნებები ქმნიან დროის ისტორიას. ხალხი სხვა არაფერია თუ არა პიროვნებათა ერთობლიობა.

ძველი თაობის მოღვაწეთა შორის მათ სახელებს დიდი პატივი და მოკრძალება ჰქონდა, მათ დიდი ცხოვრების გზა გაიარეს და კარგად იცოდნენ თუ როგორ უნდა ემსახურო ერს, ქვეყანას და გაიღო ყველაფერი ხალხისთვის. დღეს შეიძლება ეს ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხალხი ყოველმხილველია, იგი ერთ მისხალ სიკეთეს არ დაგიტოვებს დაუფასებელს. თუმცა არც ნახევარ რწმენას გაპატიებს და არც ნახევარ სამსახურს...

წავიდნენ ვალმოხდილი ადამიანები, საწუთროს წინაშე დარჩნენ შთამომავლები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ მამების გზას, ხოლო გასული საუკუნის ცნობილი ადამიანების საქმე და მოღვაწეობა ერის კუთვნილებაა.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ბევრი რამ მათი წარსულიდან და კეთილი სიტყვა უნდა თქვას იმ ადამიანების შესახებ, რომელთა სახელთან დაკავშირებულია ბევრი მნიშვნელვანი საქმე.

სწორედ ამ პრინციპით დავაფუძნეთ საზოგადოება „ხობელი“. „გიყვარდეთ მოყვასი შენი და პატივი ეცი მის ღირსებას“. მათი გახსენება ცოცხალთა საპატიო ვალია. „აქაა მათი მთაწმინდა“...

***ნაირა ბერაია,***
***საზოგადოება „ხობელის“ აღმასრულებელი მდივანი.***

ერთი ავტორის გვერდი

# „მოცალეობის ჟამს წასაკითხი...“



გამიგონია, ნამდვილი მწერალი ის არის, ვისი კალმის წვერიც მკითხველის გულის წვერს ხვდებაო. ეს ნათქვამი ვიგრძენი ბატონი ბადრი ლომაიას წიგნის „მოცალეობის ჟამს წასაკითხის“ პრეზენტაციაზე, რომელიც საზოგადოება „ხობელის“ ორგანიზებით ჩატარდა საზოგადოების „დარბაზში“.

ბატონი ბადრი რვა ათეული წელია თავგამოდებით ჭირისუფლობს ქვეყანას, ერს ისეთივე სიმტკიცით და გაბედულებით ცდილობს შეგაგნებინოს ამქვეყნიური არსებობის მიზანი „იცხოვრე კეთილსინდისიერად“.

სხვათა დუმილში ზარის რეკვასავით გაისმოდა მისი შეძახილი ზვიადის, მერაბის ქრისტესმიერი ადამიანების მიმართ... იგი არასოდეს სდუმდა, არც არაფერი ნდომებია, მხოლოდ იმის უფლებას აძლევდა თავს, რომ მწუხარებისგან ცრემლი ეღვარა, ეჯაფა და ეწერა... ეს მის წიგნში ნათლად არის ასახული.

ბატონ ბადრი ლომაიას შემოქმედებასთან შეხვედრას ემოციის გარეშე არ ჩაუვლია. საზოგადოება „ხობელის“ თითოეული წევრი ამბობდა, რომ ბადრი ლომაია ფუტკარივით მშრომელი კაცია.



გულსუფთა, ალალ-მართალი, კეთილი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ტკბილმოუბარი და თბილ-სალმიანი, საოცარი შვილების და შვილიშვილების ბაბუა. მოყვასის შემწე და თანამდგომი ჭირსა და ლხინში, ბუნებით ოპტიმისტი, საქართველოს მოტრფიალე და მოჭირნახულე.

ამ ჭაღარა მამაკაცის თვალებში ჩაგუბებული სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი, თმებში გარინდული წელთა სიმრავლეს უჯანყდება და არ სურს დანებება, ფარ-ხმალის დაყრა. ის ხომ ამგვარი შემართებით მიიკვლევს გზას მთელი ცხოვრება.

გავბედავ და დიდოსტატს დავესესხები „ეს ქვეყანა უწიბო და უბრალო მშრომელ კაცს უშენებია, მის ლიბო საძირკველში მთავარი ქვა სწორედ ასეთ ხალხს ჩაუდგამს“.

ბატონო ბადრი, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. კვლავ შემოქმედებით „სიჭაბუკეს“ საფიცარი ქვეყნის და მშობლიური ხობის წინაშე.

ჩვენი დროის ადამიანები

# ყველა პროფესიას თავისი ხიბლი აქვს

ჭეშმარიტებაა, რომ მშრომელი ადამიანის ღვაწლი ყველა დროში ფასეულია.

დიდი ილია ბრძანებდა: „თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ, რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგან უქმად ყოფნის ნებას სამართლიანობა არ მოგცემს ამ წუთისოფელში, საცაოფლის წურვით უნდა ყიდულობდეს თითოეული თავის კერძს ცხოვრებისას, კეთილის მოქმედიც იქნები, რადგან ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და აკეთე კეთილი საქმე, სხვას ამის მეტს არას თხოვს ქვეყანა თავის შვილს“.

ჩვენი სულიერი მამის ეს სიტყვები სრულად მიესადაგება პიროვნებას, რომელმაც თავისი დაუღალავი შრომისმოყვარეობით დაიმკვიდრა „ოქროსხელება“ კაცის სახელი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ვინ არ იცნობს რეზო ჩარგაზიას, როგორც გულსუფთა, ალალმართალი, კეთილი, საოცარი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, კარგი თამადა, კარგი მოღუღუნე, ნაღდი მეგრელი, ტკბილმოუბარი და თბილსალმიანი...

რეზო თავისი საქმის შესანიშნავი სპეციალისტი. ხელოსანი (მეწაღე), რომელიც ექვს ათეულ წელზე მეტია ემსახურება ხალხს. ის 14 წლის ასაკიდან დღემდე შრომობს უპრეტენზიოდ და უწყინრად.



ყველა პროფესიას თავისი ხიბლი აქვს. ეს საქმე მას მამისგან ერგო. თვითნასწავლი „დიზაინერი“ გახლდათ აწგანსვენებული კოლია ჩარგაზია–დიდებული კაცი, რვა შვილის აღმზრდელი მამა და მრავალი შვილიშვილის ბაბუა (აცხონოს უფალმა), რომელმაც კარგი კაცის სახელი დაუტოვა შთამომავლობას. მის გზას ერთ-ერთი შვილიშვილი, რეზოს შვილი დავითი მაღალპროფესიონალურად აგრძელებს.

80 წელზე მეტია შეურცხვენლად ატარებს ბატონი რეზო ნამუსის ქუდს. მეუღლე, რომელიც სიყვარულით შეირთო. ცნობილი ლოტბარის ბატონ რეზო თოდუას დაა. რომელსაც დაუღალავად უდგას უღელი და ერთად ბედნიერად ცხოვრობენ შესანიშნავი ქართული, ტრადიციული ოჯახით და განსაკუთრებული სტუმართ-მასპინძლობით.

დღესაც მხნედ გამოიყურება ბატონი რეზო, არც ჯანი აკლია და არც მეხსიერება, დადის მუნიციპალიტეტის ქუჩებში სიკეთით და მადლით ვალმოხდილი შვილებით და შვილიშვილებით დახუნძლული. მოჭირნახულე და ხელის გამწდომი, კარგი მოყვარე, კარგი მეზობელი.

შეუჩერებლად ბრუნავს ბედის ბორბალი წუთისოფლისა, რომელიც ადამიანთა მოდგმის უცვლელი და განუყრელი თანამგზავრია. ჟამთა სრბოლაში ყველაფერი ბერდება და ცივდება, თავად დრო-ჟამი არ ბერდება მხოლოდ. და კიდევ... ადამიანის გული.

ვწერ ადამიანზე, რომელმაც ცხოვრების დიდი გზა განვლო, ბევრი ჭირ-ვარამი გადაიტანა, მაგრამ დიდი გულის კაცად დარჩა.

ასეთი სიკეთით და მადლით აღსავსე პიროვნებები დიდხანს უნდა ცხოვრობდნენ, რომ სხვებს სიცოცხლე გაუხანგრძლივონ.

იცოცხლეთ ბატონო რეზო. მრავალჟამიერ!

***ნაირა ბერაია***

## ინფორმაცია კოვიდ–19-ის შესახებ

უკანასკნელ პერიოდში, მარტის თვის მეორე ნახევრიდან, თანდათან იკლო კოვიდ–19-ის დადასტურებულმა შემთხვევებმა.

ამჟამად ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით დღე-ღამის განმავლობაში გვაქვს 3-4 დადასტურებული შემთხვევა. სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად შემცირდა იმ პირთა რაოდენობაც, რომლებიც აცრებს იტარებენ.

საინფორმაციო წყაროები

# მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა

იუწყებიან, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ისევ აწია კუდი პანდემიამ, ფიქრობენ, რომ გარკვეული ტალღები იქნება, მაგრამ იქ, სადაც აცრის მაჩვენებელი მაღალია, ჰოსპიტალიზაცია და სიკვდილის მაჩვენებელი არ იმატებს.




ეპიდვითარება დასტაბილურდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, მიუხედავად ამისა, მთავარ მოწოდებად და რეკომენდაციად რჩება, რომ მოსახლეობის 70-80 პროცენტს უნდა ჰქონდეს ჩატარებული კოვიდ–19-ის საწინააღმდეგო სამჯერადი აცრა.

მიმდინარე წლის 28 მარტიდან გაუქმდა ღია სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულება, პირბადის ტარება სავალდებულოა ტრანსპორტში და დახურულ სივრცეში. ამავდროულად მოსახლეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს რეგულაციების წესების დაცვას, ხელების ხშირ დაბანასაც, ხელის დასამუშავებელი სპირტის შემცველი ხსნარების გამოყენებას და სხვა.

ინფორმაციის სახით მინდა შევახსენო ჩვენს მოსახლეობას, რომ აცრების წახალისების მიზნით ფულადი დანამატების გაცემა კვლავაც ძალაშია და შემდგომშიც გაგრძელდება.

ამასთან ერთად მინდა ვაცნობო ჩვენი გაზეთის მკითხველებს და მთლიანად ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომ საქართველოში უკვე შემოტანილია კოვიდ–19-ის სამკურნალო პრეპარატი „პაქსლოვიდის“ გარკვეული რაოდენობა. „პაქსლოვიდი“ არის ყველაზე მაღალეფექტური პრეპარატი. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით 12 წლის ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის. პრეპარატი ინიშნება იმ კონტიგენტებში, რომლებსაც დაავადების დამძიმების მაღალი რისკი გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი დეტალურად არის განსაზღვრული და ასაკობრივი ფაქტორი გასათვალისწინებელია. მისი მიღება 80%-ით ამცირებს დაავადების გართულებით საავადმყოფოში მოხვედრის რისკს. რისკის ჯგუფის მოსახლეობაში 60 წლის და ზემოთ ამბულატორიულ პაციენტებში, რომელთანაც დაავადება მსუბუქად მიმდინარეობს და დიაგნოზი დადასტურებულია, პირველი 5 დღის განმავლობაში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იყოს დაწყებული პრეპარატის მიღება, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ, რომ რისკის ჯგუფში მოვახერხებთ მდგომარეობის კონტროლს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჯერჯერობით სხვა პრეპარატის შემოტანაზე საუბარი არ არის, „პაქსლოვიდი“ დღეს საუკეთესოა.

ამბულატორიული მკურნალობისთვის ძირითადად გამოყენებული იქნება „პაქსლოვიდი“, ხოლო კლინიკაში ძირითადად „რემდესივირი“.

„პაქსლოვიდი“ ტაბლეტური მედიკამენტია. ეს მედიკამენტი პაციენტს ეძლევა 3 ტაბლეტი დღეში ორჯერ, მას არა აქვს სერიოზული და მრავალი წინააღმდეგ ჩვენებები, მისი გამოყენება არ შეიძლება თირკმლის მძიმე უკმარისობის და ღვიძლის ციროზის დროს.

კოვიდ–19-ის ვირუსი საბოლოოდ და მთლიანად არ არის ლიკვიდირებული, „დელტა“ და „ომიკრონის“ ვირუსის შტამები ჯერ კიდევ არის გარემოში, გვხვდება დადასტურებული შემთხვევების გარკვეული რაოდენობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ჩვენთანაც. ასევე ზოგიერთ ქვეყნებში გამოჩნდა კოვიდ-19-ის ახალი შტამით „დელტა-მიკრონით“ ადამიანთა დაინფიცირების შემთხვევებიც. ამიტომ არ გვაქვს უფლება მივეცეთ თვითდამშვიდებას. მთავარია კვლავაც ზემოთხსენებული რეკომენდაციები დავიცვათ.

მთავარი რეკომენდაცია და რჩევა არის კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება. სრულყოფილი აცრა ნიშნავს ვაქცინის სამი დოზით აცრას. ამავდროულად მოსახლეობაში მყარი იმუნური ფენა შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მოსახლეობის 70-80 პროცენტი სამი დოზით იქნება აცრილი.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## სულთათანა

# გოგი ბუკია



გული შენზე რამდენ მონატრებას იტევს, რა მალე გაილია წლები... თუთხმეტი წელი... დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენზე მონატრება ვერა და ვერ შეცვალა. დრომ ვერ უმკურნალა ჩემს ტკივილებს. თუმცა ისე შორს ხარ გაფრენილი, მონატრებაც ძნელია.

შენი გარდაცვალების პირველ დღეებში ჩემს სასთუმალთან შენს სუნთქვას ვგრძნობდი, მეშინოდა. საბანში ჩავიფლებოდი და ჩუმად გამოვიხედავდი, მაგრამ ამაოდ... არსად არ იყავი.

ულმობლად მიილია დღეები, მოლოდინები... ჩემში ჩაკვდა ის სურვილები, ერთად რომ ვგეგმავდით. ჩვენი სიხარული და იმედი იყო ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი თავის მეუღლე თამუნასთან და ჩვენს პირველ შვილიშვილ ტატასთან (რომლის დაბადებას სულმოუთმენლად ელოდი, 3 თვის შემდეგ დაიბადა) ერთად. ახლა უკვე ოთხი, დიდი და ლამაზი შვილიშვილის ბაბუა ხარ. ბავშვებს, რომელთაც არასოდეს უნახიხართ, ძალიან უყვარხართ. შენს ფოტოსურათებს კოცნიან და ელოლიავებიან. ტატას შენი ნაქონი ტანსაცმლის ტარება უყვარს. მიხარია, რომ ასე უყვარხართ. ნეტავ გაჩვენა როგორი კარგები არიან. როცა საფლავზე ავდივართ გულზე ყვავილებს გაფენენ, სანთელს აგინთებენ... უმცროსი თავისი პატარა ფეხებით გულზე დაგადგება და შენს სურათს კოცნის.

ჩემო გოგი, შენი მშვენიერი მეტყველებით, ხუმრობებითა და იუმორით იქაც თუ ართობ ახლობლებს, ნაცნობებსა თუ უცნობებს. ლექსები ეხლაც თუ გიყვარს. შენს საყვარელ ლექსებს აქ მე ვკითხულობ და შენზე მოგონებებში ვიძირები.

გახსოვს ეს ტაეპი შენი საყვარელი ლექსიდან: „სიცოცხლე თავდება! სიცოცხლე თავდება! მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ!..“

გოგი ახლაც ყველას უყვარხარ, ახსოვხარ შენი იუმორის, გამორჩეული ქართული პოეზიისა და პროზის თაყვანისმცემელთ.

გაიზრდა ჩვენი, შენი ძმისა და დის ოჯახები. მოვიდა ჭკვიანი, ნიჭიერი და მშვენიერი ახალი თაობა. ახლა ბევრნი ვართ. შენ არა ხარ მხოლოდ, შენ, რომელსაც სიცოცხლე ასე ძალიან გიყვარდა...

ნათელი დაგადგეს ჩემო გოგი! გვიყვარხარ!

***ნანი კილასონია.***

# ციალა ზაქარაია



ხობელებმა ესესაა ძალიან ცუდი ამბავი გავიგეთ, რომ გარდაიცვალა ჩემი ქართულის მასწავლებელი, განათლების დარგში დაფასებული ქალბატონი ციალა ზაქარაია–ჩემთვის ძალიან ახლობელი და საყვარელი ადამიანი, ჭკვიანი, ნიჭიერი, თავისთავადი, ძალიან სუფთა ურთიერთობებში.

ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, ძალიან ახლოს ვიყავი მათ ოჯახთან. იყო პერიოდი, მასთან სახლში დავდიოდი, სამსახურშიც ვაკითხავდი, რამდენჯერმე ერთადაც ვისვენებდით, რაც სასიამოვნო მოგონებაა ჩემთვის... როცა ოჯახი შექმნა და დედაქალაქში გადავიდა, ძალიან დამაკლდა. დამაკლდა მისი რჩევები, შენიშვნები, შექება, მასთან ურთიერთობა...

გავიგე, რომ შვილთან წავიდა საფრანგეთში და ასაკში მყოფი მასთან და შვილიშვილებთან ცხოვრობდა. სამწუხაროა, ძალიან შორს რომ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

დასანანია, ძალიან დასანანი, რომ ახლობლებმა ვერ დავიტირეთ... ამიტომაც ორმაგად ტკივილიანია ეს ყველაფერი საყვარელი ადამიანებისთვის–დის, ძმის, რძლის და ძმისშვილებისთვის, ყველა ახლობლისთვის...

მთელი გულით ვიზიარებ ციალა ზაქარაიას გარდაცვალებას, თავს ვხრი მისი მარადიული ხსოვნის წინაშე.

ნათელი დაგადგეს ჩემო კეთილო და კარგო ადამიანო.

***ნანი კილასონია.***

# ღვაწლის დაფასება



სულ ცოტა ხნის წინ **ლევან ლემონჯავა**– ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში, სამეგრელო–ზემო სვანეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტად აირჩია.

ეს საპატიო წოდება მან ღირსეულად დაიმსახურა. ლევან ლემონჯავა მთელი არსებით სპორტს ეკუთვნის. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების დღიდან (1983 წ.) ჩაეფლო ხობის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცხოვრებაში. მისი თაოსნობით განხორციელდა მრავალი სპორტული ტურნირი თუ ღონისძიება, აღიზარდა ასობით ბავშვი საჯარო თუ სასპორტო სკოლების, სკოლა-ინტერნატის კედლებში, რომლის დირექტორადაც მუშაობდა წლების განმავლობაში.

იყო ფეხბურთის, კონკრეტულად, ხობის „კოლხეთის" წარმატებების ერთ-ერთი განმაპირობებელი ადამიანი, წლების მანძილზე. საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ვიცე პრეზიდენტი, ამავე დროს იყო რაიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

1980-იანი წლებიდან ჩაბმული იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით განხორციელებულ სპორტულ ღონისძიებებში. მისი პირველი შეხვედრები მაშინდელი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესთან - ჯანო ბაგრატიონთან, თბილ მოგონებებად და საინტერესო ისტორიად რჩება.

ლევან ლემონჯავა, სპორტის წარმომადგენლობასთან ერთად, წლების მანძილზე ეწეოდა სპორტის ეროვნული სახეობების პოპულარიზაციას არა მარტო ხობის მუნიციპალიტეტში, არამედ რეგიონშიც.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი ცხენოსნობის, მარულას, ისინდის, ლელოს განვითარების საქმეში. მისი ინიციატივით გაიხსნა ხობის მუნიციპალიტეტში ძალოსნობის წრე. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად (რომლის თანამშრომელიც არის 2004 წლიდან), ყურადღებას ამახვილებს მძლეოსნობის, ბერძნულ - რომაული ჭიდაობის განვითარების საქმეზე, რომლის განვითარებაც უმაღლეს ფაზაში ავიდა ხობის მუნიციპალიტეტში. ამ სახეობამ ხობს მსოფლიო ასპარეზზე გაუთქვა სახელი. ხობელ მანუჩარ ცხადაიას სახელი ოლიმპიური სპორტის ზეიმად იქცა.

სამეგრელოს ოლიმპიურმა კომიტეტმა დაუფასა ლევან ლემონჯავას სპორტში ღირსეული მოღვაწეობა და მას, ოლიმპიურ მოძრაობაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისთვის, სამეგრელო -ზემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის საპატიო წოდება უბოძა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, სპორტის წარმომადგენლობა და საზოგადოება ულოცავს ლევან ლემონჯავას საპატიო ტიტულს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს მას ამ მნიშვნელოვან საქმეში.

***ნინა ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.***

## თამაზ ეჯიბია–70

## მრავალჟამიერ, თქვენი სიცოცხლე...

გავიგე რომ 70 წელი შეგსრულებიათ. მართალი გითხრათ ვერ დავიჯერე, ისე ახალგაზრდულად და მხნედ გამოიყურებით.

ჩემო თამაზ, თქვენი შეგნებული ცხოვრება ქართულ სიმღერას, მის პოპულარიზაციას მიუძღვენით, ამიტომ გაფასებენ და დიდ პატივს გცემენ შენი კოლეგები, თქვენ, ანსამბლ „კოლხეთის" ერთ-ერთი გამორჩეული სახე ბრძანდებით.

შენი ტკბილი და საოცარი ხმა კიდევ დიდხანს ნუ მოუშალოს ქართველ მსმენელს.

უდიდესი მოწიწებით

**ბეჟან ნადარაია.**



## ჩვენს მუნიციპალიტეტში



28 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში გაიმართა ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი ,,მარებელის" ჩვენება.

სპექტაკლს ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.



დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში თოჯინების სპექტაკლის–„მზიურას თავგადასავალის" პრემიერა გაიმართა, ხოლო კულტურის სახლის ფოიეში ბავშვთა ნახატების გამოფენა მოეწყო.

სპექტაკლს ხობის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და სკოლების მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ღონისძიების დასასრულს, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს საჩუქრები გადაეცათ.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. ის მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 2012 წლიდან აღინიშნება.



ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია დასრულდა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში რეგისტრირებულმა მოსახლეობამ ხმათა უმრავლესობით დასახლებისთვის პრიორიტეტულ პროექტებს დაუჭირა მხარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 35 სოფელში ჩატარდა დასახლების კრების სხდომა, ხოლო 21 სოფელში გაიმართა მოსახლეობასთან საჯარო კონსულტაცია.

საქართველოს მთავრობამ ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განსახორციელებლად 784 ათასი ლარი გამოუყო.

დასახლების საერთო კრება არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესებში ქმედით ჩართულობას.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.